

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველოს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2013 წლის 7 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
ეუსალ ვერდივეი

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველოს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველოს („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მხელელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საჭიროს და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ქურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, სადაც მოცემულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის შესწორება 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. ჩვენი დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით არის უპირობოდ დადებითი.

სხვა საკითხები

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც მოცემულ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, წარმოადგინა არამოდიფიცირებული დასკვნა 2012 წლის 9 მარტს.

7 მარტი 2013

თბილისი, საქართველო

დელოიტი და ტუში

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველო

მომგება-ზარალის ანგარიში
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	31,340,669	23,167,538
საპროცენტო ხარჯი	(5,926,263)	(4,782,006)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების რეზერვის (ხარჯამდე)/აღგენამდე	25,414,406	18,385,532
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის (ხარჯი)/აღგენამდე	(1,729,265)	49,504
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	23,685,141	18,435,036
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	(6,227)	(566,889)
საკომისიო შემოსავლები	7,140	19,643
საკომისიო ხარჯები	(71,686)	(91,186)
სხვა შემოსავლები	91,423	35,814
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი/(ზარალი)	20,650	(602,618)
საოპერაციო შემოსავალი	23,705,791	17,832,418
პროცენტულიან დაკავშირებული ხარჯები	(9,367,726)	(7,806,363)
ცვლითა და ამორტიზაცია	(555,116)	(264,159)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,688,874)	(2,840,832)
მომგება მოგების გაღასახალამდე	8,094,075	6,921,064
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,364,694)	(1,026,819)
წლის წმინდა მოგება	6,729,381	5,894,245

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი
გუსალ ვერდიევი

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკა საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
აქტივები:		
ფული და ფულის ექვივალენტები	6,213,501	3,055,357
მოთხოვნები ბანკების მიმართ	9,873,932	8,351,500
კლიენტებზე გაცემული სესხები	80,559,893	64,593,818
ძირითადი საშუალებები	1,494,769	1,078,566
გადავადებული სავალდებულო აქტივები	487,745	294,536
არამატერიალური აქტივები	262,490	177,360
სხვა აქტივები	548,616	288,315
სულ აქტივები	99,440,946	77,839,452
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები:		
სესხები	64,943,818	54,439,833
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები	334,862	498,662
სხვა ვალდებულებები	877,437	775,457
სუბორდინირებული სესხი	11,882,728	5,074,311
სულ ვალდებულებები	78,038,845	60,788,263
კაპიტალი:		
სააქციო კაპიტალი	8,210,400	8,210,400
გაუნაწილებელი მოგება	13,191,701	8,840,789
სულ კაპიტალი	21,402,101	17,051,189
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	99,440,946	77,839,452

დირექტორთა საბჭოს სახელით

აღმასრულებელი დირექტორი
ვუსალ ვერდივეი

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
გიორგი მიროტაძე

7 მარტი 2013
თბილისი, საქართველო